ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი:**31-31213093**
თარიღი: **05/11/2021**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №9– 2(ორი) ფურცელი

დასკვნა №9–1 (ერთი) ფურცელი

სარეგისტრაციო - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი **05.11.2021.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ამირან გიგინეიშვილი, ციცინო ჩხაიძე და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ დღეის მდგომარეობით სარეზერვო ფონდი სრულად არის ათვისებული, ხოლო წლის დარჩენილ პერიოდისათვის მოსალოდნელია გარკვეული წინასწარ დაუგეგმავი საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დამატებით გაიზარდოს სარეზერვო ფონდი 15000 ლარით.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ მერიის საფინანსო-საფინანსო სამსახურის მიერ განხილული იქნა შპს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას" მიერ შემოსული წერილი და მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნულ კლუბს სსიფ დავალიანების დაფარვის გამო დაფინანსება გაეზარდოს 50000 ლარით. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 65000 ლარით ზრდის ხარჯზე. ასევე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის, ნატო კობალავას წერილობითი მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა 40000 (ორმოციათასი) ლარი ,,საქონელი და მომსახურების" მუხლიდან გადავიდეს ,,არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში".

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა მოხდეს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას" აუქციონის წესით გასხვისება და შესაბამისად აღარ მოხდება კლუბის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება.

ალექსანდრე მახათაძემ დააყენა წინადადება იმის თაობაზე, რომ მოწვეულ იქნას საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ხელმძღვანელობა, რომ აღნიშნული კლუბის ირგვლივ არსებულ კითხვებს გაეცეს პასუხები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

05.11.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №9

2021 წლის 5 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

05.11.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ციცინო ჩხაიძე	11:59	
3	გიორგი ჩახვაძე	11 50	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრებოდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	11 50	
6	იოსებ ჩხაიძე	არ ესწრებოდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ზურაბ კუკულავა	არ ესწრებოდა	